თავისუფალი ხედვის აკადემია

**Free Vision Academy**

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

**თბილისი 2026**

## კონტექსტი

აკადემია მიზნად ისახავს პროფესიული პროგრამის/პროგრამების, მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების, არაფორმალური განათლების აღიარების განხორციელებას. შესაბამისად ვალდებულია სწავლის მსურველს შესთავაზოს კომფორტული გარემო, შექმნას კვალიფიციური სასწავლო პროცესი, ჩამოაყალიბოს კონტროლისა და განვითარების მექანიზმები, ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფს სწავლის მაღალ დონეს, სწავლების თანამედროვე გარემოს, რაც განაპირობებს ცოდნის შეძენის ორიენტირებულობას დასაქმებაზე, რაც წინაპიობაა თავისუფლების მოპოვების.

აკადემია სრულად არის ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანად განხორციელებაზე, რისთვისაც ჰყავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. პერსონალი სისტემატურად გადის გადამზადების კურსებსა და მონაწილეობს თემატურ ტრენინგებში, სემინარებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, რაც განაპირობებს მათი პროფესიული კომპეტენციისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის მუდმივ ზრდას. სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის აკადემია აღჭურვილია უახლესი სასწავლო-ტექნიკური ბაზით, რომელიც მოიცავს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სალექციო აუდიტორიებს, მუდმივად ინტერნეტზე ხელმისაწვდომ კომპიუტერულ კლასებსა და საკონფერენციო სივრცეებს. არსებული ინფრასტრუქტურა ქმნის ყველა აუცილებელ პირობას პროფესიული სტუდენტებისთვის, რათა მათ მიიღონ ხარისხიანი, პრაქტიკაზე ორიენტირებული განათლება.

## პარტნიორი ორგანიზაციები

**სამედიცინო დაწესებულებები:**

- სხივური და ბირთვული მედიცინის ცენტრი;
- ქალაქ თბილისის ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი'';
- წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო;
- კოი კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი;
- მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი;
- შპს აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი.

**სკოლამდელი განათლების დაწესებულებები:**

- თბილისის 116 ბაგა-ბაღი;
- თბილისის 64 ბაგა-ბაღი;
- ბაგა-ბაღი ,ელფები'';
- ბაგა-ბაღი ,,ბელმარი''.

**ბანკებთან და სავაჭრო ობიექტებთან:**

- TBC ბანკი;
- ტერა ბანკი.

**თანამშრომლობა მიზნად ისახავს, მომავალი თაობების აღზრდას, განათლებით უზრუნველყოფას, დასაქმებას და კვალიფიციური კადრების მომზადებას.**

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი.: ქ. თბილისი თრიალეთს 50
ტელ: 598 80 12 80
freeeduge@gmail.com
ვებ გვერდი:
www.fva.edu.ge
სოციალური ქსელები:
freeeduge
https://www.facebook.com/FreeVisionAcademy?mibextid=LQQJ4d

აკადემიის ხელმძღვანელი: ბექარ კილასონია

## საგანმანათლებლო დაწესებულების მისია ხედვა, ღირებულებები და მიზნები

**აკადემიის მისაა** შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური კადრების მომზადება და განათლების ინტერნაციონალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ ინკლუზიას, ინდივიდის პიროვნულ და პროფესიული განვითარებას.

**აკადემიის ხედვაა** გავხდეთ სანდო პარტნიორი შრომის ბაზრისთვის, რომელიც ამზადებს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, თანამედროვე უნარებით აღჭურვილ და კვალიფიციურ სპეციალისტებს.

**აკადემიის ღირებულებებია** გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა, განვითარებაზე ორიენტირებულობა, გუნდურობაზე, თავისუფალ მართვაზე და სწავლებაზე დაფუძნებული ინსტიტუციონალიზება

## აკადემიის სტრატეგიული მიზნები:

- **მიზანი N1: აკადემიის ინსტიტუციური განვითარება;**
- **მიზანი N2: შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განვითარება**
- **მიზანი N3: სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული სერვისების განვითარება და მხარდაჭერა**
- **მიზანი N4: დაწესებულების ცნობადობის გაზრდა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა**

**აკადემიის მიზნების მისაღწევად განსახორციელებელ ამოცანებს წარმოადგენს:**

ა) რეგულაციების და სტრატეგიული გეგმების შემუშავება-განვითარება;
ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება;
გ) ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების ხელშეწყობა
სწავლების, სწავლის პროცესში;
დ) ადამიანური რესურსების გაძლიერება;
ე) უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა;
ვ) საგანმანათლებლო პროგრამების განახლება, განხორციელება;

ზ)ხალი პროგრამების დამატება;
თ) არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვება და პროცესის წარმართვა;
ი) კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება;
კ) კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემების მონიტორინგი;
ლ) პროფესიული მასწავლებლების, სტუდენტების, ადმინისტრაციის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.

**აკადემიის ფუნქციაა:**

**პროფესიული განათლების უზრუნველყოფა** - კაკადემია ახორციელებს სახელმწიფო და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებულ პროფესიული განათლების პროგრამებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის კონკურენტუნარიანი და პრაქტიკაზე ორიენტირებული ცოდნის გადაცემას.
**სწავლა/სწავლების პროცესის ორგანიზება** - აკადემია გეგმავს და ახორციელებს სწავლის პროცესს თანამედროვე მეთოდებითა და სტანდარტებით, უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური აკადემიური და პროფესიული კადრების მონაწილეობას
**სტუდენტთა კარიერული განვითარება** - აკადემია ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას, თვითდამკვიდრებასა და შრომით ბაზარზე წარმატებულ დასაქმებას.
**სასწავლო გარემოსა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება** - აკადემია მუდმივად მუშაობს სწავლებისთვის საჭირო ფიზიკური, ტექნიკური და ციფრული გარემოს გაუმჯობესებაზე.
**საზოგადოებასთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობა** - აკადემია აქტიურად ურთიერთობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, დამსაქმებლებთან, სხვადასხვა ასოციაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობას.
**სტუდენტთა მხარდაჭერა** - უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერის სისტემას, მათ შორის კარიერულ კონსულტაციას და პერსონალურ განვითარებაზე ორიენტირებულ სერვისებს.
**ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლების პროცესში** - აკადემია ხელს უწყობს ინოვაციური მიდგომების დანერგვას და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში.
**უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აკადემიის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვისუსაფრთხო გარემოს შექმნა.
**პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა კანონიერი უფლებების უზრუნველყოფა**-აკადემია საკუთარ საქმიანობაში სრულად ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობასა და განათლების სისტემაში განსაზღვრულ პრინციპებს, მათ შორის-თანასწორობის, ჩართულობისა და დისკრიმინაციის მიუღებლობის პრინციპებს. აკადემია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მიერ კანონით განსაზღვრული ყველა უფლებით თანაბარი სარგებლობა, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, სქესობრივი, რელიგიური, ასაკობრივი, ეკონომიკური მდგომარეობისა ან სხვა რაიმე ნიშნით განსხვავებულობისა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა

**ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting.**

**1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის** (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting.

**2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა - 04114-პ**

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა", კოდი 0411, აღმწერი - ,,შეისწავლის ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, აუდიტირებასა და აღრიცხვას."

**4. მიზანი** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

**5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები** - სრული ზოგადი განათლება.

**6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:**

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

➢ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 69, 69.20.1

➢ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3313

**7. სტრუქტურა და მოდულები**

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა **ქართულენოვანი სტუდენტებისათვის** არის 99 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 88 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 19 თვე. ბუღალტრული აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 99 კრედიტი. ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

**არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის** არის 129 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 41, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 88 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 25 თვე. ბუღალტრული აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 129 კრედიტი.

| ზოგადი მოდულები | | |
|---|---|---|
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** |
| 1 | უცხოური ენა | 5 |
| 2 | მეწარმეობა 3 | 3 |
| 3 | ინფორმაციული წიგნიერება 2 | 3 |
| **სულ:** | | 11 |
| **პროფესიული მოდულები** | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** |
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | 7 |
| 2 | ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება | 3 |
| 3 | სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა | 9 |
| 4 | კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა | 5 |
| 5 | საგადასახადო დეკლარირება | 4 |
| 6 | სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები | 4 |
| 7 | ინვენტარიზაცია | 2 |
| 8 | ფინანსური ანგარიშგების შედგენა | 8 |
| 9 | ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით | 12 |
| 10 | მმართველობითი აღრიცხვა | 8 |
| 11 | Ms Excel | 6 |
| 12 | ბიზნეს ინგლისური | 5 |
| 13 | აუდიტის საფუძვლები | 2 |
| 14 | ეკონომიკური ანალიზი | 5 |
| 15 | გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა | 2 |
| 16 | პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება | 6 |
| **სულ:** | | 88 |
| **კრედიტების რ-ბა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის სულ:** | | 99 |
| **კრედიტების რ-ბა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის სულ:** | | 129 |

**8. სწავლის შედეგები:**

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა;
- შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები);
- აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები;
- შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები;

- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება;
- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით;
- აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე;
- აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა;
- შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება სრულად მიმდინარეობს შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში.

11. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- წინასწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

სწავლის შედეგების დადასტურების შეფასებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

**განმავითარებელი შეფასება** შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

**განმსაზღვრელი შეფასება** ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა;
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში მოითხოვოს განმეორებით გასვლა სწავლის შედეგების დასადასტურებლად. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

2. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესი გაწერილია აკადემიის „სწავლის შედეგების შეფასების სისტემაში." პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას:

- მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია;
- უცხო ენაზე კომუნიკაცია;
- მათემატიკური კომპეტენცია;
- ციფრული კომპეტენცია;
- დამოუკიდებლად სწავლის უნარი;
- პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები;
- მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა.

რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა – ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

**11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და გაიაროს შუალედური შეფასება და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

**12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:** შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები**

- საქართველოს კანონი – „პროფესიული განათლების შესახებ"
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტი

**14. ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება**

პირს ქართული ენის კომპეტენცია უდასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მტკიცებულების საფუძველზე:

- თუ წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- თუ გაიარა ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა და წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტს;

პირებს, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია „მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით."

**დანართები:**

**დანართი** 1 - მოდული უცხოური ენა (ინგლისური ენა)

**დანართი** 2 - მოდული მეწარმეობა 3

**დანართი** 3 - მოდული ინფორმაციული წიგნიერება 2
**დანართი** 4 - მოდული ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები
**დანართი** 5 - მოდული ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება
**დანართი** 6 - მოდული სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა
**დანართი** 7- მოდული კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა
**დანართი** 8 - მოდული საგადასახადო დეკლარირება
**დანართი** 9 - მოდული სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები
**დანართი** 10 - მოდული ინვენტარიზაცია
**დანართი** 11 - მოდული ფინანსური ანგარიშგების შედგენა
**დანართი** 12 - მოდული ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით
**დანართი** 13 - მოდული მმართველობითი აღრიცხვა
**დანართი** 14 - მოდული Ms Excel
**დანართი** 15 - მოდული ბიზნეს ინგლისური
**დანართი** 16 - მოდული აუდიტის საფუძვლები
**დანართი** 17 - მოდული ეკონომიკური ანალიზი
**დანართი** 18 - მოდული გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა
**დანართი** 19 - მოდულიპრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახო ანგარიშგების მომზადება
**დანართი** 20 - მოდულიქართული ენა A2
**დანართი** 21 - მოდულიქართული ენა B1
**დანართი** 22 - სასწავლო გეგმა
**დანართი** 23 - ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ
**დანართი** 24 - სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსი.
**დანართი** 25 - პროგრამის ბიუჯეტი

**ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology**

1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება – ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა / Information Technology Support.
2. სარეგისტრაციო ნომერი– 06.3.1
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;
4. მიზანი – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტს, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ–ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა.
5. კვალიფიკაციის დონე

5.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მესამე დონე

6. კლასიფიკაციის აღწერა

6.1 ISCED კოდი და აღწერა – 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება – შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც.

6.2 ISCO კოდი – 3512 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის დახმარების ტექნიკოსები

6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი – 62.09.0 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები

7 დასაქმების შესაძლებლობებ- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი პროფილის და ზომის ორგანიზაციაში.

8 დაშვების წინაპირობა

8.1 საბაზო ზოგადი განათლება

9 სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

9.1 უზრუნველყოს კომპიუტერის აპარატურული მხარდაჭერა (Hardware);
9.2 უზრუნველყოს კომპიუტერის პროგრამული მხარდაჭერა (Software);
9.3 იმუშაოს მობილურ, Linux და Windows Server ოპერაციულ სისტემებთან;

9.4 გამართოს პერიფერიული მოწყობილობები;
9.5 დაამონტაჟოს და გამართოს მცირე ზომის კომპიუტერული ქსელი;
9.6 დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;
9.7 უზრუნველყოს კომპიუტერულ სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება / აღმოფხვრა;
9.8 უზრუნველყოს კომპიუტერული სისტემების მხარდაჭერა სამუშაო ადგილზე და დისტანციურ რეჟიმში.

10 სწავლის შედეგების დეტალური აღწერა

| მოდული | პროფესიული უნარები | პროფესიული ცოდნა | | |
|---|---|---|---|---|
| | | | 2. დარ ენა | [illegible] |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა | ✓ იცავს კომპანიის შინაგანაწესს;<br>✓ უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს მოწყობას უსაფრთხოების ნორმების დაცვით;<br>✓ განსაზღვრავს სამუშაოთა პრიორიტეტულობას და მოქმედების თანმიმდევრობას დადგენილი/შიდა და სფეროს რეგულაციების მიხედვით;<br>✓ იმარაგებს ხელსაწყოებს, მასალებს, მაკომპლექტებელი ნაწილებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას;<br>✓ ახორციელებს ანგარიშგებას მენეჯერთან/ ხელმძღვანელთან აღმოჩენილი და აღმოფხვრილი | ✓ იცის კომპანიის შინაგანაწესი;<br>✓ იცის სამუშაო გარემოს მოწყობა უსაფრთხოების ნორმების დაცვით;<br>✓ იცის შიდა და დადგენილი რეგულაციები და საუშაოთა პრიორიტეტულობის განსაზღვრა;<br>✓ იცის ხელსაწყოების, მასალების, მაკომპლექტებელი ნაწილებისა და პროგრამულ უზრუნველყოფის შეჩევა; | ✓ | |
| | რისკების/ შესრულებული სამუშაოს შესახებ. | ✓ იცის შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2. დარგობრივი ინგლისური ენა<br>- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა | ✓ ახორციელებს ინფორმირებას ტექნიკური ინფრასტრუქტურის ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საჭიროების შესახებ;<br>✓ საჭიროების შემთხვევაში, აღწერს მომხმარებლის პრობლემას წერილობით ან ზეპირად, შესაბამისი სფეროს სპეციალისტთან გადამისამართების მიზნით;<br>✓ საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ტექნიკური დოკუმენტაციისა და სფეროს სიახლეების მოძიებას, გაცნობა-შესწავლას.აღმოფხვრასა და შემდგომ დიაგნოსტირებას;<br>✓ იძიებს ინფორმაციას შესაძლო აპარატურულ და პროგრამულ რისკებზე; | ✓ იცის ტექნიკური ინფრასტრუქტურის ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საჭიროების იდენთიფიცირება;<br>✓ იცის მომხმარებლის პრობლემის აღწერა წერილობით ან ზეპირად, შესაბამისი სფეროს სპეციალისტთან გადამისამართების მიზნით;<br>✓ იცის ტექნიკური დოკუმენტაციისა და სფეროს სიახლეების მოძიება;<br>✓ იცის ინფორმაციის მოძიება შესაძლო აპარატურული და პროგრამულ რისკებზე; | ✓ | ✓ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3. კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა | ✓ უზრუნველყოფს კომპიუტერის აწყობას, მოდერნიზაციას, დიაგნოსტიკასა და გამართვას;<br>✓ უზრუნველყოფს ოპერაციული სისტემის ინსტალაციას, გამართვასა და განახლებას.<br>✓ უზრუნველყოფს სამომხმარებლო, დამხმარე და უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას, გამართვასა და განახლებას; | ✓ იცის კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია, დიაგნოსტიკა და გამართვა;<br>✓ იცის ოპერაციული სისტემის ინსტალაცია, გამართვაა და განახლება;<br>✓ იცის სამომხმარებლო, დამხმარე და უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, გამართვა და განახლება; | ✓ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ✓ უზრუნველყოფს დაზიანების აღმოფხვრასა და შემდგომ დიაგნოსტირებას;<br>✓ იძიებს ინფორმაციას შესაძლო აპარატურულ და პროგრამულ რისკებზე;<br>✓ უზრუნველყოფს შესაძლო რისკების პრევენციას;<br>✓ აღმოფხვრის აღმოჩენილ პრობლემებს შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;<br>✓ უწევს მომხმარებელს კონსულტაციას აპარატურული და პროგრამული რისკებისა და რისკების პრევენციის საკითხებზე. | შეტყობინების მიღების საფუძველზე;<br>✓ იცის დაზიანების აღმოფხვრა და შემდგომ დიაგნოსტირება;]<br>✓ იცის ინფორმაციის მოძიება შესაძლო აპარატურულ და პროგრამულ რისკებზე;<br>✓ იცის შესაძლო რისკების პრევენცია ;<br>✓ იცის აღმოჩენილი პრობლემების აღმოფხვრა შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;<br>✓ იცის მომხმარებელისათვის კონსულტაციის გაწევა აპარატურული და პროგრამული რისკებისა და რისკების პრევენციის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | საკითხებზე. | | |
| 5. კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა | ✓ ახორციელებს მომხმარებელთან ან/და კოლეგებთან უკუკავშირსა და კონსულტაციას;<br>✓ ურთიერთობს ხელმძღვანელობასთან (მათგან დავალებების/ინსტრუქტაჟის მიღება და შესაბამისი ზეპირი ან წერილობითი ანგარიშგება);<br>✓ ახორციელებს ინფორმირებას ტექნიკური ინფრასტრუქტურის ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საჭიროების შესახებ; | ✓ იცის მომხმარებელთა და კოლეგების კონსულიტრება;<br>✓ იცის ეფექტური კომუნიკაციის ტექნიკები;<br>✓ იცის ტექნიკური ინფრასტრუქტურის ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საჭიროების იდენთიფიცირება;<br>✓ იცის მომხმარებლის პრობლემის აღწერა წერილობით ან ზეპირად, შესაბამისი სფეროს | ✓ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ✓ საჭიროების შემთხვევაში, აღწერს მომხმარებლის პრობლემას წერილობით ან ზეპირად, შესაბამისი სფეროს სპეციალისტთან გადამისამართების მიზნით;<br>✓ საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ტექნიკური დოკუმენტაციისა და სფეროს სიახლეების მოძიებას, გაცნობა-შესწავლას;<br>✓ იძიებს ინფორმაციას შესაძლო აპარატურულ და პროგრამულ რისკებზე;<br>✓ უზრუნველყოფს შესაძლო რისკების პრევენციას ;<br>✓ აღმოფხვრის აღმოჩენილ პრობლემებს შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;<br>✓ უწევს მომხმარებელს კონსულტაციას აპარატურული და პროგრამული რისკებისა და რისკების პრევენციის საკითხებზე. | სპეციალისტთან გადამისამართების მიზნით;<br>✓ იცის ტექნიკური დოკუმენტაციისა და სფეროს სიახლეების მოძიება;<br>✓ იცის ინფორმაციის მოძიება შესაძლო აპარატურულ და პროგრამულ რისკებზე;<br>✓ იცის შესაძლო რისკების პრევენცია ;<br>✓ იცის აღმოჩენილი პრობლემების აღმოფხვრა შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;<br>✓ იცის მომხმარებელისათვის კონსულტაციის გაწევა აპარატურული და პროგრამული რისკებისა და რისკების პრევენციის საკითხებზე. | | |
| 6. კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები | ✓ ახორციელებს ქსელის მონტაჟსა და გამართვას, წინასწარ მიღებული დავალებისა და სქემის მიხედვით;<br>✓ ახორციელებს მარტივი შიდა ქსელური აპარატურის მონტაჟსა და საბაზისო კონფიგურირებას;<br>✓ ახორციელებს ქსელური პერიფერიული მოწყობილობების მონტაჟსა | ✓ იცის ქსელის მონტაჟი და გამართვა, წინასწარ მიღებული დავალებისა და სქემის მიხედვით;<br>✓ იცის მარტივი შიდა ქსელური აპარატურის მონტაჟი და საბაზისო კონფიგურირება;<br>✓ იცის ქსელური | ✓ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | და კონფიგურირებას; | პერიფერიულ<br>ი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ✓ ახორციელებს IP კამერების მონტაჟსა და კონფიგურირებას;<br>✓ ახორციელებს დაზიანების ანალიზს კომპეტენციის ფარგლებში, დაზიანების შესახებ შეტყობინების მიღების საფუძველზე;<br>✓ უზრუნველყოფს დაზიანების აღმოფხვრასა და შემდგომ დიაგნოსტირებას. | მოწყობილობების მონტაჟი და კონფიგურირება;<br>✓ იცის IP კამერების მონტაჟი და კონფიგურირება;<br>✓ იცის დაზიანების იდენთიფიცირება კომპეტენციის ფარგლებში, დაზიანების შესახებ შეტყობინების მიღების საფუძველზე;<br>✓ იცის დაზიანების აღმოფხვრა და შემდგომ დიაგნოსტირება. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7. მობილური, Linux და სერვერული ოპერაციული სისტემები | ✓ უზრუნველყოფს კომპიუტერის აწყობას, მოდერნიზაციას, დიაგნოსტიკასა და გამართვას;<br>✓ უზრუნველყოფს ოპერაციული სისტემის ინსტალაციას, გამართვასა და განახლებას.<br>✓ უზრუნველყოფს სამომხმარებლო, დამხმარე და უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას, გამართვასა და განახლებას;<br>✓ ახორციელებს მომხმარებელთა ანგარიშების დამატებას ორგანიზაციულ ჯგუფებში;<br>✓ ქმნის სისტემის სარეზერვო ასლს (backup);<br>✓ ახორციელებს დაზიანების ანალიზს, დაზიანების შესახებ შეტყობინების მიღების საფუძველზე; | ✓ იცის კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია, დიაგნოსტიკა და გამართვა;<br>✓ იცის ოპერაციული სისტემის ინსტალაცია, გამართვაა და განახლება;<br>✓ იცის სამომხმარებლო, დამხმარე და უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, გამართვა და განახლება;<br>✓ იცის მომხმარებელთა ანგარიშების დამატება ორგანიზაციულ ჯგუფებში;<br>✓ იცის სისტემის სარეზერვო ასლის (backup) შექმნა;<br>✓ იცის დაზიანების მიზეზის იდენთიფიცირება დაზიანების შესახებ შეტყობინების მიღების საფუძველზე; | ✓ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ✓ უზრუნველყოფს დაზიანების აღმოფხვრასა და შემდგომ დიაგნოსტირებას; | ✓იცის დაზიანების აღმოფხვრა და შემდგომ დიაგნოსტირება; | | |
| 8. პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა | ✓ იცავს კომპანიის შინაგანაწესს;<br>✓ უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს მოწყობას უსაფრთხოების ნორმების დაცვით;<br>✓ განსაზღვრავს სამუშაოთა პრიორიტეტულობას და მოქმედების თანმიმდევრობას დადგენილი/შიდა და სფეროს რეგულაციების მიხედვით;<br>✓ იმარაგებს ხელსაწყოებს, მასალებს, მაკომპლექტებელი ნაწილებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას;<br>✓ ახორციელებს ანგარიშგებას მენეჯერთან/ ხელმძღვანელთან აღმოჩენილი და აღმოფხვრილი რისკების/ | ✓ იცის კომპანიის შინაგანაწესი;<br>✓ იცის სამუშაო გარემოს მოწყობა უსაფრთხოების ნორმების დაცვით;<br>✓ იცის შიდა და დადგენილი რეგულაციები და საუშაოთა პრიორიტეტულობის განსაზღვრა;<br>✓ იცის ხელსაწყოების, მასალების, მაკომპლექტებელი ნაწილებისა და პროგრამულ უზრუნველყოფის შეჩევა;<br>✓ იცის შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება | ✓ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შესრულებული სამუშაოს შესახებ. | | | |

მოდულის, ქართული ენა A2-ის გავლა სავალდებულოა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - დანართი 3.5. პროგრამა ხორციელდება კოლეჯში.

| სასწავლო გარემოში სწავლისთვის | კრედიტი | სამუშაო გარემოში სწავლისთვის | დისტანციური სწავლების შესაძლებლობები |
|---|---|---|---|
| ზოგადი მოდული | | | |
| უცხოური ენა | 3 | | |
| ინფორმაციული წიგნიერება | 2 | | |
| რაოდენობრივი წიგნიერება | 2 | | |
| პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები | 2 | | |
| პროფესიული მოდულები | | | |
| გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა | 1 | | |
| დარგობრივი ინგლისური ენა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა | 6 | | დისტანციური |
| კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა | 7 | | |
| კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა | 6 | ✓ | |

| | | | |
|---|---|---|---|
| კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა | 6 | | |
| კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები | 8 | | |
| მობილური, Linux და სერვერული ოპერაციული სისტემები | 6 | | |
| პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა | 6 | ✓ | |
| სულ - | 55 | | |

## 12 დამატებითი ინფორმაცია

### 12.1 სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც

მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;

- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
